რეიმსი (პარიზი) – "დინამო" (თბილისი)

რეიმსი. 1 დეკემბერი. თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა მეორე მატჩმა საფრანგეთში უდიდესი ინტერესი გამოიწვია ფართო საზოგადოებრიობაში. თამაშს, რომელიც ელექტრული განათების ქვეშ მიმდინარეობდა, დაესწრო მაყურებელთა მაქსიმალური რაოდენობა - სტადიონის ტრიბუნებზე არ იყო არც ერთი თავისუფალი ადგილი.

თბილისელებმა მინდორზე გამოიყვანეს იგივე შემადგენლობა, რაც "რესინგთან", მხოლოდ მეორე ტაიმში მარჯვენა ფრთაზე შაპოვალოვი შეცვალა მელაშვილმა. "რეიმსის" რიგებში თამაშობდნენ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების წევრები ფონტენი, პიანტონი, ვენსანი, ჟონკე, ვენდლინგი და სხვანი.

ფრანგებმა სწორად დაგეგმეს თამაში. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ არ მიეცათ მოწინააღმდეგისათვის სწრაფი, გაშლილი თამაშის საშუალება, ჩაექროთ ტემპი, ხოლო კონტრშეტევები ეწარმოებინათ წინ გაწეული ცენტრისა და გარემარბების საშუალებით. ერთ-ერთი შუამარბი ღრმა ზურგში იყო დაწეული, სადაც მცველები საგანგებოდ დარაჯობდნენ კალოევს. ყოველ შემთხვევაში, ცენტრალური მცველი ჟონკე მას სულ ფეხდაფეხ დასდევდა.

დინამოელთა პირველი შეტევის შემდეგ თამაში თანდათან გათანაბრდა, ინიციატივა "რეიმსმა" აიღო ხელთ. 25-ე წუთზე ფრანგების მარჯვენა გარემარბმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

ტაიმის დასასრულს მასპინძელთა კარი ნამდვილი შტურმის ქვეშ აღმოჩნდა. ერთხელ ძელმა იხსნა გუნდი, ხოლო ბოლო წუთებზე მესხმა და კალოევმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რეალური, ნაღდი შესაძლებლობანი.

შესვენების შემდეგ დინამოელებს კვლავ ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები, მაგრამ მათი რეალიზაცია ვერ მოხერხდა, ხოლო ფრანგი ფეხბურთელები კვლავ კარგად უხამებდნენ ერთმანეთს მასირებულ დაცვასა და ერთეულ კონტრშეტევებს. მატჩის ბოლო წუთზე მათ შეძლეს შეტევის წარმოება და ბურთიც გაიტანეს, მაგრამ ეს იყო 90 წუთის განვლის შემდეგ, როცა მსაჯმა უკვე მისცა ფინალური სასტვენი.

2 დეკემბერს, დილით ჩვენი რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ქ. რეიმსს და ელაპარაკა საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს ამხ. გ. სიხარულიძეს. მან განაცხადა:

- თამაშმა დამსწრეთა დიდი მოწონება ჰპოვა და იგი, მართლაც, მეტად საინტერესო იყო, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ფრანგი მსაჯის დებანის ყოვლად უმსგავსო არბიტრობას, მის არასპორტულ საქციელს. დებანმა, ეტყობა, ნახა თბილისელთა თამაში "რესინგთან" და იცოდა რომ ჩვენი გუნდის მთავარი კოზირია სისწრაფე, ტემპი და დრიბლინგია საჯარიმო მოედანზე. ამიტომ იგი სისტემატურად აჩერებდა თამაშს მაშინვე, როგორც კი ჩვენი თავდამსხმელები მიუახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგის კარს, განუწყვეტლივ ნიშნავდა საჯარიმოებს და წყვეტდა თამაშის რიტმს. მე ჯერ არ მინახავს, რომ მსაჯს ასე შეგნებულად და ეშმაკურად შეეშალა ხელი თამაშისათვის.

ჩვენ კვლავ მივიღეთ ბოდიში და სინანული ასეთი მსაჯობის გამო, ამჯერად საფრანგეთის საფეხბურთო ფედერაციის პრეზიდენტისაგან, მაგრამ ეს ოფიციალური საბოდიშო ცერემონიალი მოხდა ვიწრო წრეში, ანგარიში 1:0 კი მთელს ქვეყანას მოედო.

3 დეკემბერი, 1959 წ.